განკარგულება:**გ-49. 49251782**
თარიღი:**27/06/2025**

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის " ახალი, ექსპლოატაციაში არმყოფი 1 (ერთი) ერთეული დამქუცმაცებელი დანადგარის - SHREDDER **(მანქანა) საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა, მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 26 ივნისის №48-482517792 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ შპს ,,აგრო მოტორსსა'' და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას შორის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2025 წლის 11 მარტს გაფორმებული N53 ხელშეკრულების (NAT250000949) შესაბამისად, შპს ,,აგრო მოტორსის'' მიერ მოწოდებული იქნა ახალი, ექსპლოატაციაში არ მყოფი 1 (ერთი) ერთეული დამქუცმაცებელი დანადგარი-SHREDDER (მანქანა).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 106^1-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის " ახალი, ექსპლოატაციაში არმყოფი1 (ერთი) ერთეული დამქუცმაცებელი დანადგარის - SHREDDER (მანქანა) საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი